საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

## ადმინისტრაციული მიწერილობა
№ 004123

„9" ივნისი 2025 წ. ქ. თბილისი
(შედგენის ადგილი)

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების შესახებ

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
(ადმინისტრაციული მიწერილობის გამცემი ორგანოს დასახელება, იურიდიული მისამართი)
ქ. თბილისი, ვ. ნიკოლაძის I შეს. №1

ადმინისტრაციული მიწერილობის ობიექტი: შპს „ეკომეტალი" (415230085332)
(ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი,
იურ. მის.: ქ. ზესტაფონი, ოზნიძის ქუჩა №43; დირექტორი [redacted]
პირადობის მოწმობის ნომერი, საცხოვრებელი ადგილი, იურიდიული პირის შემთხვევაში – იუ[redacted])
მინისტრის 2020 წლის 9 ივლისის №2-599 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება
(დასკვნა №85; 25.10.2006)

დარღვევები, რომლებზეც გაიცემა ადმინისტრაციული მიწერილობა: იხილეთ №004123
ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1
(დარღვევების ჩამონათვალი, რომლებზეც გაიცემა მიწერილობა)

გასატარებელი ღონისძიებები: შპს „ვეგეტალი" ვალდებულია, ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 2(ორი) თვის ვადაში უზრუნველყოს საწარმოს ჩიხების მოწყობა და სარქველზე დაპლომბვა. ასევე, ამავე ვადაში უზრუნველყოს სარქველიდან ამოღებული შლამისთვის, ბეტონის შლამსაწური ბაქნის მოწყობა, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად.

(დავალების არსი, საჭიროების შემთხვევაში, შესრულების ვადები)

თან ერთვის დანართი: 1 გვერდი

(დანართის №, გვერდების რ-ბა, დანართების არარსებობის შემთხვევაში დაისმევა z)

პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში:

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $79^{8}$ მუხლის შენიშვნის მეორე ნაწილის შესაბამისად.

(კანონის მუხლ(ებ)ი, შესაბამისი პუნქტი ან ნაწილი, ქვეპუნქტი)

მიწერილობის გამცემი თანამდებობის პირი: გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - მთავარი სპეციალისტი ინსპექტორი ნანა ქორქოძე

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

თანამდებობის პირის ხელმოწერა:

ადმინისტრაციული მიწერილობის მიმღები (ივსება პირდაპირი ჩაბარების შემთხვევაში):

[illegible]

(რეგულირების ობიექტის წარმომადგენელი პირი, მისი ხელმოწერა და თარიღი)

დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ, 2024 წლის 29 ივლისს განხორციელდა, ქ. ზესტაფონში, უზნაძის ქ. №43-ში განთავსებული, შპს „ეკომეტალი"-ს (ს/კ 230085332) კუთვნილი, ქერქული ნარჩენებიდან სილიკომანგანუმის ამოღების საწარმოზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 9 ივლისის №2-599 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (2006 წლის 25 ოქტომბრის №85 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმებისას გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრისათვის შემუშავებული, დეპარტამენტის 2023 წლის 29 ივნისის №003192 ადმინისტრაციული მიწერილობით განსაზღვრული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის ინსპექტირება.

ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ კომპანიას №003192 ადმინისტრაციული მიწერილობის **დანართი №2-ის 1.1 ქვეპუნქტის მოთხოვნის შესრულების მიზნით, საწარმოს ტერიტორიაზე არ აქვს მოწყობილი სანიაღვრე (წყალშემკრები) არხები, რომელიც დაერთებული უნდა იყოს სალექართან.**

გამოვლენილ დარღვევაზე, 2024 წლის 7 აგვისტოს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $79^8$ მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილის შესაბამისად, კომპანიის მიმართ შედგა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №088647 ოქმი, რომელიც განსახილველად გადაეგზავნა ზესტაფონის რაიონულ სასამართლოს.

სასამართლომ, 2024 წლის 19 სექტემბრის №4/189-2024 დადგენილებით, კომპანია სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $79^8$ მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში, ხოლო სახდელის სახით შეუფარდა ჯარიმა - 15 000 ლარის ოდენობით. დღეს არსებული მდგომარეობით, დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 46-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ადგენს გონივრულ ვადას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულებისთვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ეკომეტალი"-ს მიმართ შემუშავდა, დეპარტამენტის 2025 წლის 9 ივნისის №004123 ადმინისტრაციული მიწერილობა.